№16

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვით)

29 მაისი 2016 წელი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი მხარეები, ერთის მხრივ –ქედის კულტურის ცენტრის დირექტორის ვაჟა ბალაძის (ს/კ 246762203, მისამართი: ქედა, აღმაშენებლის ქ №8) სახით (შემდგომში "დამკვეთი/შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ შ.პ.ს „წიგნის სამყარო" დირექტორის ირაკლი სებისკვერაძის (ს/კ 200126782) (შემდგომში "შემსრულებელი/გამყიდველი") სახით ვმოქმედებთ რა ჩვენი უფლებამოსილებების ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წიგნების (საქონლის) შეძენა.
cpv-22100000

II. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების ფორმა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებაა 558.44 (ხუთასორმოცდათვრამეტი ლარი და 44 თეთრი) ლარი.
2.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.
2.3. თანხის გადახდა იწარმოებს ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

III. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 10.07.2016

IV. მიწოდების ვადები და ინსპექტირების პირობები

4.1 საქონლის მიწოდების ვადა არის 2016 წლის 29 მაისიდან 2016 წლის 10 ივნისამდე.
4.2 ხელშეკრეულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქედის კულტურის ცენტრი
4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წერილობით და უთითებს დარღვევა/წუნის მიზეზს.

4.4 გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 22^1 –ე მუხლის თანახმად დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები

V. მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ერთმანეთისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული

შესრულება; თავის მხრივ, თვითოეული მხარე ვალდებულია დროულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

5.2 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეთათვის ისეთ გადაულახავ და მათი ნებისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებსაც ატარებენ წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს.

VII. გარდამავალი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.2 მხარეთა შორის დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
ქედის კულტურის ცენტრი
ს/კ. 246762203
მისამართი: ქედა, აღმაშენებლის ქ №8

სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი:
ვაჟა ბალაძე

მიმწოდებელი

შ.პ.ს « წიგნის სამყარო »

ს/კ200126782
საქ-ს ბანკის ცენტრ. ფილიალი

ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ნ GE02BG0000000113331500

დირექტორი :
ირაკლი სებისკვერაძე